საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 2 20 0001127365

26/11/2020

2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ

„საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტის „პ[18]“ ქვეპუნქტის, 47[7]-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 26 ნოემბრის N1126884 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2020-2021 სასწავლო წელს ქალაქების - თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, თელავის, გორის, ზუგდიდის, ფოთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით წარიმართოს დისტანციურად;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამებს უფლებამოსილნი არიან მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული/ლაბორატორიული/კლინიკური კომპონენტები წარმართონ არადისტანციურ რეჟიმში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების საფუძველზე შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით;
3. ქალაქ ახალციხის ტერიტორიაზე მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით წარიმართოს არადისტანციურად;

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ვერ შეძლებს სასწავლო პროცესი განახორციელოს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, უფლება მიეცეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების თეორიული კომპონენტები წარმართოს დისტანციურად;
5. დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა იხელმძღვანელონ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) მიერ 2018 წელს შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებით;
6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის N778305 ბრძანება;
7. ბრძანება ძალაშია 2020 წლის 28 ნოემბრიდან;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი